# თვითმმართველი ქალაქის –ქუთაისის მერიის საკონკურსო კომისიის სხდომის ოქმი
## №1

ქ. ქუთაისი 24 ივნისი 2011 წელი

საკონკურსო კომისიის სხდომას ესწრებოდნენ:

| | |
|---|---|
| დავით ანდღულაძე | -ქ. ქუთაისის მერის მოადგილე, საკონკურსო კომისიის თავმჯდომარე. |
| კოტე რატიანი | -ქ. ქუთაისის მერიის სახელმწიფო შესყიდვების სამსახურის უფროსი, საკონკურსო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე |
| ანდრო მაღლაკელიძე | –ქ. ქუთაისის მერიის კეთილმოწყობის სამსახურის უფროსი, საკონკურსო კომისიის წევრი |
| ვასილ მეზურიშვილი | –ქ. ქუთაისის მერიის არქიტექტურის სამსახურის უფროსი, საკონკურსო კომისიის წევრი |
| ირაკლი გიორგაძე | -ქ ქუთაისის მერიის აპარატის იურიდიული განყოფილების უფროსი, საკონკურსო კომისიის წევრი. |
| ცისმარდი მაღლაფერიძე | –ქ. ქუთაისის მერიის სახელმწიფო შესყიდვების სამსახურის მთავარი სპეციალისტი, საკონკურსო კომისიის მდივანი. |

**დ ღ ი ს  წ ე ს რ ი გ ი :** კონკურსის მეშვეობით ქ. ქუთაისში ბალახვნის ხიდის მოაჯირის შესაცვლელად, ასევე რუსთაველის ხიდის მოაჯირის აღსადგენად და ბორდიულის ასაწევად საპროექტო–სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის სახელმწიფო შესყიდვის შესახებ.

**მოისმინეს:** საკონკურსო კომისიის წევრმა კოტე რატიანმა კომისიის წევრებს გააცნო დღის წესრიგთან დაკავშირებით – საკონკურსო განცხადების, საკვალიფიკაციო მონაცემების და საკონკურსო დოკუმენტაციის (ქ. ქუთაისში ბალახვნის ხიდის მოაჯირის შესაცვლელად, ასევე რუსთაველის ხიდის მოაჯირის აღსადგენად და ბორდიულის ასაწევად საპროექტო–სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა) პროექტები.

**აზრი გამოთქვეს:** საკონკურსო კომისიის თავმჯდომარემ დავით ანდღულაძემ, საკონკურსო კომისიის თავმჯდომარის მოადგილემ კოტე რატიანმა კომისიის წევრებმა: ვასილ მეზურიშვილმა და ანდრო მაღლაკელიძემ.

**დაადგინეს:** 1. დამტკიცდეს საკონკურსო კომისიის მიერ ქ. ქუთაისში ბალახვნის ხიდის მოაჯირის შესაცვლელად, ასევე რუსთაველის ხიდის მოაჯირის აღსადგენად და ბორდიულის ასაწევად საპროექტო–სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის სახელმწიფო

შესყიდვისათვის წარმოდგენილი განცხადების და საკონკურსო დოკუმენტაციის პროექტები.

2. საკონკურსო წინადადებების მიღების ვადათ განისაზღვროს 2011 წლის 29 ივნისი 12:00 საათამდე პერიოდი.

3. საკონკურსო წინადადებების მიღების ადგილად განისაზღვროს თვითმმართველი ქალაქის–ქუთაისის მერიის სახელმწიფო შესყიდვების სამსახური (მის: 4600, ქ.ქუთაისი, შ. რუსთაველის გამზ. №3, მე– 3 სართული, ოთახი №323).

4. საკონკურსო განცხადება (თანდართული დოკუმენტებით) გამოქვეყნების მიზნით გაეგზავნოს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს მის ოფიციალურ ვებ–გვერდზე.

საკონკურსო კომისიის თავმჯდომარე: დავით ანდღულაძე

საკონკურსო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე: კოტე რატიანი

კომისიის წევრები:

ანდრო მაღლაკელიძე

ვასილ მებურიშვილი

ირაკლი გიორგაძე

კომისიის მდივანი:

ცისმარდი მაღლაფერიძე